დამატებითი შეთანხმება N 60-7-112-685

2012 წლის 07 სექტემბრის №60–7–212–653 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი 20. 09., 2012 წ.

წინამდებარე დამატებითი შეთანხმების მხარეები:

ერთის მხრივ **სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“** (შემდგომში – „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი რეაბილიტაციის მმართველის სულხან ზუმბურიძის სახით და მეორეს მხრივ **შპს "ჯეორათია“** (შემდგომში – „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის სერგო ეფრემიძის სახით;

ჩვენს შორის 2012 წლის 07 სექტემბერს გაფორმებული №60–7–212–653 ხელშეკრულების მე–14 მუხლის 14.1 პუნქტის, სს "სსე"-ს სამეურნეო სამსახურის 2012 წლის 11 სექტემბრის №12147 მოხსენებითი ბარათისა და შპს „ჯეორათიას“ 2012 წლის 14 სექტემბრის №2389 კომერციული წინადადების გათვალისწინებით, შევთანხმდით ურთიერთშორის და ვდებთ წინამდებარე დამატებით შეთანხმებას შემდეგზე:

1. 2012 წლის 07 სექტემბრის №60–7–212–653 ხელშეკრულების დანართ №1-ს (ხარჯთაღრიცხვა) დაემატოს დანართი №1ა;
2. 2012 წლის 07 სექტემბრის №60–7–212–653 ხელშეკრულების საერთო ღირებულება გაიზარდოს 5712,50 (ხუთი ათას შვიდასთორმეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარით და ნაცვლად 81407,04 (ოთხმოცდა ერთი ათას ოთხას შვიდი ლარი და ოთხი თეთრი) ლარისა განისაზღვროს 87119,54 (ოთხმოცდაშვიდი ათას ასცხრამეტი ლარი და ორმოცდათოთხმეტი თეთრი) ლარით დღგ-ს ჩათვლით;
3. 2012 წლის 07 სექტემბრის №60–7–212–653 ხელშეკრულების მე–3 მუხლის 3.1 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „3.1. ხელშეკრულების საერთო თანხა განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №1–ისა და დანართი №1ა–ს მიხედვით და შეადგენს 87119,54 (ოთხმოცდაშვიდი ათას ასცხრამეტი ლარი და ორმოცდათოთხმეტი თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით (შემდგომში-"ხელშეკრულების ღირებულება")."
4. 2012 წლის 07 სექტემბრის №60–7–212–653 ხელშეკრულების სხვა დანარჩენი პირობები რჩება უცვლელი;
5. წინამდებარე დამატებითი შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე ორ თანასწორუფლებიან ეგზემპლარად, თითო ეგზემპლარი გადაეცემა ყოველ მხარეს;
6. „მიმწოდებელს“ არ გააჩნია არავითარი პრეტენზია ან მოთხოვნა „შემსყიდველის“ მიმართ ხელშეკრულებაში მითითებული ცვლილებების შეტანის შედეგად;
7. წინამდებარე დამატებითი შეთანხმება წარმოადგენს მხარეთა შორის დადებული 2012 წლის 07 სექტემბრის №60–7–212–653 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და არ შეიძლება გამოყენებულ ან/და განმარტებულ იქნას მითითებული ხელშეკრულებისგან განცალკევებით ან/და გარეშე;
8. წინამდებარე დამატებითი შეთანხმება ძალაში შედის მხრეთა მიერ მისი ხელმოწერიდან.

მხარეები:

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“	**შპს "ჯეორათია“**
სულხან ზუმბურიძე	**სერგო ეფრემიძე**
რეაბილიტაციის მმართველი	დირექტორი
ბ.ა	ბ.ა

დანართი №1ა
(ხარჯთაღრიცხვა)
სს „სსე“–ს „ახალი ბეშუმის“ 35/10 ქვესადგურის მხარის შენობის სარემონტო სამუშაოების – 1,8 მ. ბაქანზე დამატებით ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოები

№	სამუშაოს დასახელება (შეძენა–მონტაჟი)	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი
1	2	3	4	5	6
სველ წერტილებში და სამორიგეო ოთახში დამატებით ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოები					
	სველი წერტილები				
1	ნესტგამძლე თაბაშირ–მუყაოს ფილებით კედლების შეფუთვა (თავისი კონსტრუქციით და მონტაჟით)	კვმ	30,00	22,00	660,00
2	თაბაშირ–მუყაოს ფილებზე კაფელის ფილების მოწყობა	კვმ	30,00	58,00	1740,00
	სამორიგიეო ოთახი				
3	ნესტგამძლე თაბაშირ–მუყაოს ფილებით კედლების შეფუთვა (თავისი კონსტრუქციით და მონტაჟით)	კვმ	45,00	22,00	990,00
4	კედლის დამუშავება და შეღებვა წყალ–ემულსიის საღებავებით	კვმ	45,00	9,00	405,00
5	ჰორიზონტალური ფარდა ჟალუზების მოწყობა (შეძენა მონტაჟი)	კვმ	7	40,00	280,00
	მთლიანი ჯამი				**4075,00**
	ზედნადების ხარჯები			10%	407,50
	ჯამი				**4482,50**
	გეგმიური დაგროვება			8%	358,60
	ჯამი				**4841,10**
	დღგ			18%	871,40
	მთლიანი ღირებულება დღგ–ს ჩათვლით				**5712,50**

მხარეები:

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

სულხან ზუმბურიძე
რეაბილიტაციის მმართველი
მ.ა

შპს "ჯეორგიათაბ"

სერგო ეფრემიძე
დირექტორი
მ.ა